38/1916/3

თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერ. ჟურნალი

№ 51—1916
კვირა, ქრისტ. 18

წელ. მეოთხე გამოცემისა | ფასი 15 კ.

† მ. ქ ყიფიანი
(იხ. ამავე ნომერში)

კონსტანტინეს-ძე ხირსელი
(წ. იხ. „თ. და ც." № 48)

მიიღება ხელის მოწერა
დაწვრილებით იხ. მე-16-ე გვ.

შინაარსი

1, მეთაური—ვისი ან რის ბრალია? 2
2, ივ. გომართელი—სადღეისო . . . . „
3 დავ. კილოსანიძე—ციხე 4
4, ს. ერთაწმინდელი—სერბიელთ მარში . . 5
5, შალვა დადიანი—ევლინა წუწუნავა . . „
6, მირ. ხარაელი—დედა (დასასრული) . . 6
7, ღრუბელი—ალვის ხის ფოთოლი 9
8, იოსებ არიმათიელი—ერთი მათგანი . . „
9, კ. ძიძაძე—მგოსანი . . . . „
10, გრ საქარიქედელი—მოსე მწერალი მიჯნა
მგ. ნინოშვილის მოთხრობიდან (გაგრძელება)10
11, ილოვანი—ალექ. გარს. ჭავჭავაძე . .12
12, იაგო ტეტუნაშვილი—ობოლი . . . 13
გ ჯაბაური—სახალხო თეატრის ისტორია „
14, სახიობა, წვრილი ამბები . . . . . „

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

(ჟურნალი ორი პრემიით 8 მან. დაწვრილებით ისილეთ განცხადება)

ქრისტეშობისთვის 18

ვისი ან რის ბრალია?

(დღეგანდელი კრების ბაზა)

განქიქება და ფართო გეგმების შედეგნა რომ უფრო უკეთ ვიცით ვიდრე ნაზისა და გეგმის ხორცის შესხმა, ეს, სხვათა შორის, ქართ. დრამ. საზის მოხსენებამაც დაგვიმტკიცა..

მოხსენება იგი დიღიღც, სიფუძელიანია და სისწორით გვითვალისწინებს ჩვენის სცენის ნაკლს, მაგრამ...

ვისი და რის ბრალია, რომ დღემდე „ჯერ იქმნა და ჯერ დადგ ქართული სასცენო სეფოგენება მეგდრს ნიადგზე და ჯერ შეუდგ ადეგეგების გზას?“

ვის და რის ბრალია, რომ „ქართველ მსახიობთა კოლეზორატიან“ ვერ ავიდა „ეს სოფელზეამდე, რომ თამამად ეთქვა, მე რეალურ სეფოგენთა კოლეზორატიას, სავსებით შეენებული მაქვს ჩემი დანიშნულება?“

ვისი ან რისი ბრალია, რომ ამ ბოლო დროებში „ბანიადებული ინტელიგენტი ძალა შემატებია ჩვენს სცენასა“?

ვისი ან რის ბრალია, რომ სცენას ის მიეცელდა, რომელსაც მასთან „არსებითად სერთო არა აქვსრა“...

ვისი და რის ბრალია, რომ გამგეობა (ბოლონდელი მაინც) თითქმის ბატონ-ყმაცურად დაჰყურებს დასს, ხოლო დასი ალმაცერად შეჰყურებს იმ დაწესებულებას, რომელიც უაღრესად პატივისცემის ღირსია?

ვისი და რის ბრალია, რომ არც დრამატიული ლიტერატურა მდიდრდება, არც რეპერტუარი, არც სამსახიობო სალონ-სამკითხველო გვაქვს, არც მსახიობთა სტუდია...

სცადა ვინმემ, როგორც 80-იან წლებში, და ჩვენს პროვინციებში ნიჭიერნი ძალნი მოათვალიერა?

სცადა ვინმემ და ახალგაზდა მსახიობთა შემჩნეულ ნიჭს განვითარებ ის გზაფართო მიენიჭა?

თუ მხოლოდ მშრალი ფორმალიზმი, უსულგულო ბიუროკრატიზმი, მოვალეობის ნაძალადევად აღსრულების რეჟიმი გაბატონდა ჩვენს სათეატრო ხელოვნების დარგში?

დიაღ, საქმე დიდია, და ადვილად გასაკეთებელიც, ოღონდ ამას მოსაქმე, მომქმედი ხალხი უნდა, თავგამოდებული, მინდობილი საქმის გატაცებული სიყვარულით აღფრთოვანებული და არა მხოლოდ ლამაზად მოლაპარაკენი!..

საღღეისო

ვიღაც გამოჩენილ სამხედრო პირს ო[illegible] შესახებ სხვათა შორის უთქვამს: ომი რომ მ[illegible] სპოს, ადამიანი ხბოს დამგზავსებაო.

ეარა თუ გადაჭარბებული, მეტისმეტ[illegible] შემცდარი ეზრია.

ვინ აწარმოებს დღევანდელს საშინ[illegible] ომს? ხალხი თუ მთავრობა?

რასაკვირველია, მთავრობა. ხალხი იბ[illegible] ვის რადგანაც მას ძალას ატანენ. ის ძალ[illegible] ემორჩილება.

როდესაც დღევანდელი საზოგადოებრივ[illegible] წყობილება ალაგს დაუთმობს სხვას და მთავრ[illegible] ბის ალაგს მთელს ევროპაში ხალხი დაიკ[illegible] მაშინ ომი და სისხლის ღვრა უსათუოთ ჩ[illegible] დება ისტორიას.

როდესაც უფლება მთელი ერის ხელ[illegible] იქნება, მაშინ ყოველთვის მშვიდობიან გზას [illegible] მართავს მეორე ერთან სადავო კითხვ[illegible] ვადასაწყვეტად და არა იარაღს.

ერის უფლება და ომი ერთათ შეუძლებელ[illegible]

მერე ადამიანი მაშინ მაინცადა მაინც[illegible] დაემზგავსება?

პირიქით, ადამიანის განვითარებას [illegible] გვარი ბორკილები ჩამოეცლება დაის გაცილ[illegible] უფრო მალი ნაბიჯით გასწევს წინ.

სისხლის ღვრა ცუდი თვედებია ადამიანი[illegible] განვითარებისა, რადგანაც არაფერი მბეცურ[illegible] არ ამაღლებს ადამიანს,—სისხლ ის ღვრა[illegible] უმწვერვალესთან მხეცური მოვლენაა.

ხოლო ერთი რამ ცხადია: სისხლის ღვრ[illegible] ომს, ხშირად, შედეგად მოსდევს მთელი ერ[illegible] სარგებლობა.

მაგალითად სევასტოპოლის ომს შედეგ[illegible] მოჰყვა რუსეთისათვის ბატონ-ყმობის გაუქმება

სევასტოპოლის ომი რომ არ ყოფილ[illegible] ყო, ალბე თუ გვიან მაინც მოისპობოდა ეს საზიზღარი მოვლენა რუსეთში,—ეს მართალია მაგრამ ომმა ეს საქმე დაიჩქარა.

და რაიმე ეროვნული რეფორმა [illegible] განხორციელდება, თუ გვიან, ერთი დ[illegible] არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დღევანდელი ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდა, ყველაზე უფრო გამარჯვებული რუსეთი გაჩნდა—შინაური მტრის დამარცხებით.

რუსეთი აუცილებლათ უნდა განახლდეს. რუსის ხალხს ფართო და თავისუფალი გზა უნდა მიეცეს განვითარებისა და თვით-მოქმედებისაკენ. მას უნდა ჩამოშორდეს ის მუქთახორები, რომლებსაც რუსეთი საწველ-ფურათ გაუხდიათ და რომლებიც მხოლოთ საკუთარ ჯიბისათვის ფიქრობენ ასეთ არაჩვეულებრივ დროს, როდესაც მამულის სიყვარულმა თვით გულქვას და ზნე გახრწნილ ადამიანსაც კი უნდა დაუნთოს შინაგანი ცეცხლი გატაცებისა და თავ-დავიწყებისა.

თუ ომი კიდევ თიდხანს გაგრძელდა, რუსეთი განახლებული, მაშასადამე გამარჯვებული გამოვა.

რუსის ხალხის ამგვარი გამარჯვება ჩვენთვის ფრიად განსახილველია, რადგანაც:

ერთ ბედ ქვეშა ვართ ლაბაგ მე და შენ,
ბედმა ბეჯრეგუნა შავი მიწა ჩვენ.

მაგრამ ეს გამარჯვება ჩვენი გამარჯვება არ არის.

რატომ?

რუსეთის განახლება უფლების კვერთხს მისცემს რუსეთის ბურჟუაზიას, რუსეთის ბურჟუაზია წარმოშობს კადეტთა და ოქტომბრისტთა პასუხისმგებელ სამინისტროს.

რუსეთის დღევანდელი სინამდვილისათვის ეს არის მთა.

ეს მთა-კი რას მისცემს ჩვენს სინამდვილეს?

თაგვს! ე. ი. ძალიან პატარას, ძალიან ცოტას.

აღამიანმა საერთოთ დაპირება მეტი იცის, ჯიდრე გამეტება და ასრულება.

რასაც რუსეთის მთავრობა გაჭირვების დროს გვპირდებოდა, ის რომ დალხინების დროს აესრულებინა, კიდევ არა გვეჭირდარა.

უფლებას მოკლებული კლასი ყოველთვის გპირდება ბევრს და, როცა უფლების სკამზე წამოსკუბდება, ძალიან ცოტას აგისრულებს,—მაშინ სხვა ენაზე იწყებს ხოლმე ლაპარაკს.

აბა მიბრძანეთ, ვის რას დაპირდენ კადეტები და ოქტომბრისტები?

კადეტები პოლონელებს დაპირდენ ავტონომიას, სხვებს-კი—ნიახური!

ისეთი პატარა ერები, როგორც ქართველები, კავკასიის სომხები, თათრები და სხვ. მათთვის თითქოს არც კი არსებობენ.

ოქტომბრისტები კი არავის არასფერს არ დაპირებიან.

შესაძლებელია, დღეს ხანდახან ათასში ერთხელ გავახსენდებით ხოლმე (თუმცა ესეც საეჭვოა); ხოლო როცა უფლებას ხელში ჩაიგდებენ, სრულებით დაგვივიწყებენ,—ეს საეჭვო არ არის.

მაშ რა უნდა ვქნათ პატარა ერებმა?

ჩვენ თვითონ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი თავი.

ჩვენ თვითონ უნდა გვქონდეს გამორკვეული ნათლათ და მკაფიოთ, თუ რა არის ჩვენი ერისათვის საჭირო და ეს საჭირო უნდა მოვითხოვოთ მტკიცეთ, შეუპოვრათ, ამაყათ, ღირსეულათ, მთელის ჩვენის არსებით.

საქართველოს ჭეუბავდა წარსულში ერთი მეორის გაუტანლობა: ქართლი არ იტანდა კახეთს, იმერეთი ქართლსა და სხვა და სხვა. ესთქვათ ამას ვხსნით ფეოდალური წყობილებით.

ფეოდალური წყობილება, მადლობა ღმერთს, მოისპო, კლასებათა და პარტიებით დაირაზმა ქართველი ერი, მაგრამ ეს ძველებური გაუტანლობა მაინც დარჩა და მაინც.

მოიქვამს და კიდევ ვიტყვი,—შეუძლებელია, შინ ერთმანერთთან დავა არა გვქონდეს, მაგრამ როდესაც საქმე მთელ საქართველოს ეხება, როდესაც უნდა გადავწყვიტოთ ისეთი კითხვები, რომლებზედაც მთელი ჩვენი მომავალია დამოკიდებული, აქ ყველას თანხმობა,—ერთად მოქმედება საჭირო.

თანხმობა, ერთად მოქმედება კი აუცილებლათ ითხოვს დათმობას.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც არავითარი დათმობა არ შეიძლება,—ისეთი დათმობა სისუსტეა, სილაჩრე, ღალატი.

სამაგიეროთ არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც დათმობა აუცილებელია, როდესაც ისეთი დათმობა გმირობა, მოქალაქეობრივათ მომწიფების დადასტურებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი მომენტი ასეთი დათმობის გზას ითხოვს ყველა ჩვენი პარტიებისაგან, რადგანაც დღეს უსათუოდ დათმობით მოქმედებაა საჭირო მეტი ეროვნული სარგებლობის მოსაპოვებლათ.

რანაირათაც უნდა განახლდეს რუსეთი, ჩვენ მაინც არაფერს მივიღებთ, თუ განახლებული რუსეთის წინ არ გაისმა მთელი ქართველი ერის შეწყობილი გუგუნი.

თუ სოციალ-დემოკრატმა სიცილი დააყარა მას, რასაც ფედერალისტი მოითხოვს, ან ფედერალისტმა ჩაქოლა ის, რასაც ნაციონალისტები მოითხოვენ, ან თუ ყველამ ცალ-ცალკე წამოვაყენეთ ჩვენი მოთხოვნანი, განახლებული რუსეთი ჩვენ არაფერს არ მოგვცემს.

რაც დღეს არის, ის შეიძლება ხვალ აღარ იყოს. დრო იჩქარის. ჩვენც უნდა ვჩქარობდეთ.

თუ პარტიებმა ძველებური მოუმზადებლობა გამოიჩინეს და საერთო სიტყვები საერთო სამშობლოს ასამაღლებლათ ასეთ საშინელ და ამასთანავე მეტათ იშვიათ დროშიც ვერ გამონახეს, ქართველი დემოკრატია ვალდებულია, ხმა აამაღლოს.

განახლებულ რუსეთს უწინარეს ყოვლისა უნდა მოსთხოვოს ისეთი წყობილება, რომ ქართველი ერის ენა, ქართველი ერის მიწა-წყალი, ქართველი ერის კულტურა, ქართველი ერის განვითარება, უზრუნველ ყოფილი იყოს.

ამისათვის საჭიროა აღდგენა იმ პირობისა, რომლითაც ძველი რუსეთი შეეკრა ძველ საქართველოს.

საქართველოსათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ტერიტორიალური თვითმართველობა (ავტონომია). ეს აღნიშნულია ჩვენს ძველს ხელ-შეკრულობაში, ეს მოიპოვა ქართველმა ერმა დღეს საკუთარის სისხლით.

ქართველი ერი რუსეთთან ერთათ ომობს და სისხლსა ღვრის. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს არც ერთ ომს მტერთან არ უმსხვერპლია ამდენი ჩვენი მოძმე, რამდენიც დღეს რუსეთმა შეიწირა ჩვენგან.

ნაცვლათ ამისა განახლებულმა რუსეთმა არა თუ უნდა მოგვცეს, ის ვალდებულია მოგვცეს, ჩვენ ის უნდა ვაიძულოთ მთელის ჩვენის არსებით, მოგვცეს ის, რისი უფლება — ისტორიასაც რომ არ მოეცა, — მოგვანიჭა ჩვენ ჩვენი მოძმეების დაღვრილმა სისხლმა.

საქართველოს ტერიტორიალური თვითმართველობა!

— აი რის გარეშემო უნდა დაირაზმოს დღეს ქართველი დემოკრატია.

და თუ ჩვენმა დემოკრატიამ სიმტკიცე, სითბილე და ეროვნული სიმწიფე გამოიჩინა, უსათუოდ გაიმარჯვებს

ძველმა რუსეთმა არ აასრულა თვისი დაპირება, ახალმა უნდა აასრულოს.

[illegible]

ციხე

ზღაპარი.

ამაყად ამართულა მდუმარე ციხე მიუდგომელ კლდეზე. სიძველისაგან კედლებს ზოგან კბილები დასცვივნია, მაგრამ უკბილოც შიშის ზარსა სცემს გამვლელ ადამიანსა.

შინაური გაივლის, პირს ჯვარს გამოისახავს და მფარველობას შეევედრება ჩუმად უფალსა.

უცხო გაივლის, გული აუცახცახდება თქმულებისაგან: „მოვა ჟამი, ხმას ამოიღებს ციხე, გაიღება მისი მოდუმული კარი, გაჩნდება ჭასკში შესული ბატონი და ცხოვრების გრდემლზე ბედნიერებას მოუჭედს თავისიანებს.“

ს — ციხის მფლობელი კი ბეჯითად ითვიებს მაღლა ზეცაში აღმაფრენასა, დაბლა ზღვის ძირში და დედამიწის ზურგის სიბრძნესა..

დრო ჭაღარავდება, ბერდება ციხის კარი არ იღება, მაგრამ ხალხს მტკიცედ სწამს ისევ თქმულების განხორციელება.

[illegible]

მაისის 10-ს

ქ. თბილისი. 1915 წ.

334
ეროვნული ბიბლიოთეკა

სერბიელთ ახალი მარში

დაჰკარით საყვირს!.. აბა მხნედ ორბნო!
ერთგულნო ძენო! სამშობლოს მტრფობნო.

—

მამულსა ჰფლობენ მტერთა ურდონი,
სიკვდილის მფრქვევნი, კაცთ დაუნდონი.

—

ფრიალებს დროშა!—ძლევის სიმბოლო;
ძმანო წინ!.. თორემ გვეღება ბოლო!..

ს. ერთაწმინდელი

ევლინა წუწუნავა

რა გულსაკლავია ჩემთვის, რომ ევლინაზე უნდა ვილაპარაკო როგორც მიცვალებულზე...

გასახსენებელი კი ჩვენი უბედო ევლინა.

მას ფართო საზოგადოება ვერც კი იცნობს. ვერ იცნობს იმიტომ, რომ მეტად ხანმოკლე იყო მისი მუშაკობა ჩვენს სცენაზე და სრული გადაფურჩქვნა არ ღირსებია მისს უსათუოდ მკვირცხლ ნიჭს, მის საკვირველ ესთეტიურ გემოვნებას.

შესაძლებლობა კია დიდი იყო.

ჩვენი თეატრი ჯერ კიდევ ვერ დადგომია დიფერენციაციის გზას. ჩვენ ყველაფერს ვეპოტინებით: იბსენიც გვინდა და დეკურსელიც, შექსპირიც და არციბაშევიც.

ამას აქვს თავისი „რეზონდეტრი."

მაგრამ აქამდე ვერ ჩამოგვიყალიბებია ჩვენი საკუთარი ეროვნული თეატრი.

ეს კიდევ მომავლის საქმეა.

რასაკვირველია, იყო შთანასახი. მე სულ უახლოეს დროს ვიხსენებ. თბილისში „მსხვერპლი" და ქუთაისში კლდიაშვილს პიესები ამის თავდები იყო.

მერე როგორ თავისუფლად სუნთქავდნენ ჩვენი მსახიობნი ამ თვის ჰაერში.

ევლინაც ამ ჰაერისთვის იყო გაჩენილი.

მას დიდი ღონე ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ქალთა განსასახიერებლად.

ეს მან ნათლად დაგვიმტკიცა:

მისი „ქრისტინე", „სალიხე"—ეს ხომ დაუვიწყარი ნაკვეთებია მისი შემოქმედებისა.

ერთ დროს მეც შემხვდა წილად სიამოვნება, რომ მისი ხელმძღვანელი ვყოფილიყავ და,.. ვგრძნობდი, რომ მას კიდევ მეტი შეეძლო ამ ეროვნულ ნიადაგზე. ხოლო გული მიკვდებოდა: გასაქანი არა ჰქონდა მის განსაკუთრებულ ნიჭს.

არ იყო ქარგა, არ იყო პიესები.

მე მგონია, და ეს გადამეტებული არ იქნება, რომ ევლინათი ჩვენ ჩვენი სტრეპეტოვა მოგვევლინა. მე ნიჭის დიაპაზონს არ ვადარებ. მხოლოდ არ იყო პისემსკი, არ გახლდათ პოტეხინი და სხვა.

ამ გვარად რომ კიდეც ეცოცხლა, რომ კიდეც მორჩენილიყო მომაკვდინებელ სენისაგან, მგონი რომ საქმეს ვერ გაუჩენდით დღევანდელ ჩვენს ჭრელ თეატრში.

მე მგონია ტრაგიზმი ეროვნულ თეატრისა მეტ უკიდურესობას ვერ მიაღწევა.

მხოლოდ ევლინას მთავარი ღირსება კიდევ ის იყო, რომ ის, როგორც პიროვნებაც, სხვებისგან განირჩეოდა.

უშწიკვლო და მეტის მეტი ფაქიზი ზნეობის, პირდაპირი და მტკიცე ხასიათის.

ის იყო იმ პირველ მერცხალთაგანი, რომელთაც თეატრი მართლა ტაძრად მიაჩნიათ და მუნ ყოფნა ღვთის მსახურებად. ამიტომაც ყოველივე მიწიერი და შერყვნილი გულს უკლავდა, ცხოვრების მიერ მოტანილი ყოველივე ჭუჭყ ზიზღსა ჰგვრიდა და ამას არც მალავდა..

ვერ ურიგდებოდა, კომპრომისი მისი საქმე არ იყო.

ჩვენ კი, რომელთაც ცხოვრების მეფისტოფელმა ბევრი რამ საცბიერო ჩაგვჩურჩულა, წინ აღვუდგებოდით ხოლმე მის პირდაპირობას, მაგრამ, თუ გულწრფელნი ვიყავით, მუდამ ვგრძნობდით, რომ სიმართლე მისკენ იყო.

დიაღ, ევლინა, დიაღ! თეატრი უსათუოდ ტაძარია და შენ ერთი მისი საუკეთესო ვესტალკა იყავ.

ჩვენშიაც ოდესმე უთუოდ ასე იქნება.

მაგრამ ვაი რომ დღეს ეს საკითხიც საჭოჭმანოთ გვაქვს.

ცოცხალი რომ იყო, კარგად იგრძნობდი, რა მწვავე უნდა იყოს ჩემთვის ამის შეგნება.

ჩემთვის, რომელმაც ამდენი ხანი მოვა-

თიე ჩვენს თეატრში და ამ მონაქცევზე მაინც ასე ვფიქრობ.

ვფიქრობ, რომ უდროოთ მოხველ შენც.

შენ პირველი მერცხალთაგანი ხარ ჩვენის თეატრისა.

უდროოთ, რადგან ჯერ კიდევ ჩვენს თეატრში **დიდი ზამთარია**.

სანუგეშო მხოლოდ ის და უნდა იყოს, რომ ვერ დავიჯერებ:

შენისთანების „სულის კვეთება“ ერთი დროა „უქმად არ ჩაივლის“.

პირადათ კი ვგოდებ რუსი პოეტის სიტყვით: „ვაჰ, რომ დასჭკნი უდროოთ ნისლიან დღის განთიადზე“.

დედა

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 49-50).

იმ ღამეს „ის“ ძალიან ახველებდა; სულ წყალს სვამდა. იმავე ღამეს მოტრიაც უქეიფოდ იყო. ჯერ ისევ ბნელოდა, რომ ლოგინზე წამოჯდა და დედა გააღვიძა.

— დედილო, ყელში რაღაც მიჭერს, ნერწყვის ჩაყლაპვა მიჭირს!

— რა გიყო, შვილო, რა გიშველო?— დაფაცურდა ბარბარე და ჭრაქის ძებნა დაიწყო.

შიოც წამოხტა, ტახტზე წამოჯდა და ნაღვლიანად შესცქეროდა ბარბარეს და მის ქალიშვილს. მოტრია სიცხისაგან იწოდა; ყელი ისე გაჰსიებოდა, რომ ლაპარაკი არ შეეძლო.

— ჰა, დედა?!—ეკითხებოდა შიო, რაშია საქმე.

ბარბარემ მოტრიას ყელზე უჩვენა. შიომ თანაგრძნობით თავი გააქნია, ხელები გაშალა და მუხლებში შემოიკრა: ეტყობოდა, რომ ებრალებოდა ორივე, მათი შველაც უნდოდა, მაგრამ რით, თვითონაც არ იცოდა.

ბარბარემ აქაფებული საპნით დაუზილა მოტრიას ყელი და თბილი შალი შემოაკრა.

— დაწექი, ჩემო გოგონავ, ფეჩზე და გათბი; იქნება სითბომ გაგიადვილოს.

ყველა დაწვა, მაგრამ ჭრაქი დილამდე ენთო.

მოტრიას არამც თუ გაუადვილდა ტკივილი, დილით უარესად შეიქმნა.

შიო ძალიან ადრე ადგა და ცდილობდა, რითაც კი შეეძლო ეშველა: შეშა ბლომად დასჭრა, ფეჩი თვითონ გახურა, გამოართვა პარასკას ვედრო, როცა ნახა, რომ ის წყალზე უნდა წასულიყო და თვითონ მოიტანა წყალი. ოთახში რომ შემოვიდოდა, ყოველთვის მივიდოდა მოტრიასთან, რომელიც იქვე ფეჩთან იწვა, მოჰკიდებდა ხოლმე ხელში ან შუბლზე ხელს დაადებდა, თავს გააქნევდა და მუხლებზე ხელებს შემოიკრავდა.

ისაუზმეს თუ არა, ბარბარე ექიმისათვის დაბაში წავიდა.

პარასკამ ჭურჭელი დაალაგა. ოთახი გამოგავა, შიომ ნაგავი გაიტანა, მერმე ტახტზე ჩამოჯდა და სულ ერთთავად ავადმყოფ მოტრიას შეჰყურებდა და თავს აქნევდა.

ბარბარემ ექიმი მოიყვანა. უკანასკნელმა გასინჯა ავადმყოფი და დასძინა, ერთ სამ დღეს კიდევ გააწვალებს ყელი, მერმე დამშვიდდება და თვითონ გამოერწყობაო. ყელში გამოსავლები წამალი გამოუწერა, თბილად შეუხვიე ყელიო და უკვე წასვლას აპირებდა, რომ იქ მდგომი „აზიატი“ შენიშნა.

— თქვენც ჩაგიყენეს მოლაშქრე? რა თარხნად თქვენა ხართ, რომ სხვაც გადაგკიდეს,—უთხრა ექიმმა ბარბარეს.

— არა მიჭირს-რა, ბატონო,—მიუგო ბარბარემ.—დე იყვეს, არას მიშლის, კაი გულისაა და საწყალი; არის აქ თავისთვის. მასთან ცდილობს, რაც შეუძლია გვეხმარება. გაისარჯეთ, ბატონო, და ისიც გასინჯეთ. ისე ახველებს ღამ-ღამობით, რომ მოსვენება არა აქვს. ჩამოიყვანეს აქ დაგლეჯილ-დაფლეთილი, უქუდო და, როგორც ჰხედავთ, ფეხ-შიშველა... იქნება გამოუწეროთ ისეთ რამეს, რომ ხველა გადაუვარდეს?—ჰკითხა ბარბარემ.

ექიმი შიოს მიუახლოვდა.

— ახველებ, ჩემო კარგო?—ჰკითხა ექიმმა.

— ხარაშო...

— აი ესე სულ „ხარაშოს“ გაიძახის, ამის მეტი არა იცის-რა, სთქვა ბარბარემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა გაიხადე, მეგობარო,—მიმართა ექიმმა შიოს და აჩვენა ხელით, ახალუხი გაიხსენიო.

შიომ ტანთ გაიხადა; ექიმმა გულდასმით გასინჯა შიო.

— ცუდათაა მისი საქმე, ქალო,—მიუბრუნდა ექიმი ბარბარეს:—ჭლექიანია. ამისთანა ყოფაში და ჯარის-კაცის სამსახურში დიდ-ხანს ვერ გასტანს. მაგის საქმე წასულია.

— რას მეუბნებით!—წამოიძახა ბარბარემ.—ამისთანა ავადმყოფი რაში ესაჭიროებოდათ, რომ შიშველ-ციტველი სიცივეში ჩამოიყვანეს.

ექიმმა მხრები ასწივ-დასწია.

— რა ვიცი? ალბად ვერ შენიშნეს ექიმებმა, როცა სინჯავდნენ სამხედრო სამსახურში წასაყვანად. შეცდომა ამ შემთხვევაში ხშირია. კავკასიელები სუსტი ხალხია, ჩვენს სიცივეს და ჰავას ვერ იტანენ... ხველების წამალს გამოუწერ, როცა მოხვალთ აფთიაქში თქვენი ქალის წამლებისათვისა, მომაგონეთ, და მაგისთვისაც მოგცემთ. ხველება ცოტას მოეშვება, მაგრამ ჭლექს ვერა ეშველება რა, თავისას იზამს. ხომ ჰხედავ კაცს აღარა ჰგავს, ისეა ავად.

ბარბარე მაშინვე წამლებისათვის წავიდა.

მოტრია სამ დღეში გამოკეთდა, შიოს კი ვერ უშველა ბარბარეს მოტანილმა წამალმა.

ერთი კვირის შემდეგ შიო მოვიდა საღამო ხანსა უკვე ჯარის-კაცის ტანისამოსში; ზედ ეცვა შინელი, კარტუზი და ჩექმები მიკოლას ქუდი, ახალუხი და თბილი შალის ყელსაფარი ბარბარეს გადასცა და სთქვა:

— ხარაშო, დედა!

— დეე შენი დუშმანი და მტერი იყოს ისე „ხარაშო", როგორც შენა ხარ!—გულდაწყვეტილად უპასუხა ბარბარემ.—ყელსაფარი მაინც დაიტოვე, კისერზე შემოიხვევ, რომ არ შეგცივდეს:

— ხარაშო, დედა!

დაიწყეს ახალ ჯარის-კაცების სამეცადინოდ დილა ადრაინ გაყვანა. შიო ისე ადრე გადიოდა სახლიდან, რომ ბარბარეს საუზმეს ვერ უცდიდა. ბინდისას ბრუნდებოდა ისეთი დაღლილი, ქანც-მილეული, რომ ვახშმობის თავი არა ჰქონდა. ტახტზე წამოწვებოდა და სუნთქვა უჭირდებოდა. მის გულში კი ისეთი ხრიალი მოისმოდა, რომ შორით მდგომი გაიგონებდა. ღამ-ღამობით უარესად ახველებდა.

ერთ ღამეს ხველამ არ იქნა, არ მოასვენა, ისე მძლავრად ახველებდა, რომ კვნესა დააწყებინა. ბარბარე ლოგინიდან წამოხტა.

— დედა!—მოესმა წყნარი კვნესა. დედა!

— რა გინდა?

შიო ჩუმად იყო. მხოლოდ თითქოს მდუღარე ქოთანიდან ჩუხჩუხი მოისმოდა.

ბარბარე ძირს გადმოვიდა და ჭრაქი დაანთო. შიო ტახტზე წამომჯდარიყო, მის წინ იატაკზე სისხლის გუბე იდგა: მისი წვერი და პერანგი სისხლში იყო გასვრილი. მის ფილტვებს ხრიალი გაჰქონდა. გულზე ხელს იდებდა.

— რა დაგემართა, ჩემო გვრიტო!—შემოიკრა შეშინებულმა ბარბარემ თავში.

შიომ თავი ჩააქნია; ლაპარაკი არ შეეძლო, ხელით ანიშნა, წყალი მინდაო. ბარბარე დაფაცურდა და წყალი მოუტანა. შიო ტოლჩას დაეწაფა და დიდხანს, გაუმაძღრივ სვამდა.

—ეხლა დაწექი, მოისვენე,—უთხრა ბარბარემ და ხელით ანიშნა.

შიომ თავი გააქნია, არ შემიძლიანო. ბარბარემ ტილო წყალში დაასველა და წვერი და პერანგი გაუწმინდა.

— აბა რა გიშველო ეხლა?—სწუხდა მოხუცი.—გათენებამდე კი ბევრი დრო გავა.

შიო სდუმდა, ხოლო მძიმედ სუნთქავდა, მის გულში კა ისევ ჩუხჩუხი მოისმოდა.

გათენებამდე გვერდში უჯდა ბარბარე: რამდენიმეჯერ დაალევინა წყალი. ხველა ცოტა ჩაუდგა; მხოლოდ გათენებისას მოქანცულ შიოს ჩაეძინა.

დილით სავარჯიშოდ ვეღარ წავიდა. საჭმელს არ იკარებდა, სულ წყალსა სვამდა. ისაუზმა ბარბარემ და ექიმის მოსაყვანად მოემზადა, რომ ორი მოსკალი მოვიდა: ერთი ამისავით „იზიატი", მეორე—ჩვენებური.

მოხუცმა ქალმა ყველაფერი უამბო მათ, რაც დაემართა შიოსა. ორივე ცოტა ხანს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერდა, „აზიატი“ თავისებურად გამოელაპარაკა შიოსა და ორივე წავიდა. ერთ საათში საჰოსპიტალო ეტლი მოიყვანეს და ავადმყოფი ლაზარეთში წაიყვანეს.

—·—

თითქოს დაცალიერდა და მოიწყინა ოჯახმა, რაც შიო წაიყვანეს, ძალიან კი შეეჩვივნენ მას. მაგრამ მალე უიმისობასაც შეეჩვივნენ და დაივიწყეს. ზოგჯერ საღამო ხანს ქალიშვილები მოიგონებდნენ „აზიატ შიასა“, ბარბარე კი მწუხარედ ოხრავდა.

გავიდა ორი კვირა. სრულიად შემთხვევით ბაზარზე ვიღაცასგან გაიგო ბარბარემ, რომ ლეიბინის დიდ სასტუმროს გვერდით ახალ ჯარის-კაცებისთვის ლაზარეთი მოაწყვესო. ბარბარეს ძალიან მოუნდა იქ მისვლა და თავისი ყოფილი „სტუმრის“ ამბის გაგება.

— იქნება მაჩვენონ კიდევაც?—ფიქრობდა მოხუცი,—საბრალოს ჰაჭანებაზე აქ არავინ გააჩნია: არც დედა, არც დები, რომ მივიდნენ და ავადმყოფი ინახულონ.

ერთი ხუთი ვაშლი იყიდა და ლაზარეთში წავიდა.

შესავალში მოსკალი იდგა.

— რა გინდა, ქალო?—ჰკითხა დარაჯმა.

— აქ, ძმობილო, მგონია, ავადმყოფი ახალი ჯარის-კაცები „აზიატები“ უნდა იწვნენ.

— კი, არიან.

— მე მინდა ვნახო... ჩემთან რომ სალდათი იყო ჩაყენებული, აქ მოიყვანეს... შია ჰქვია სახელად... ჰა, არის?

— ნახვა გინდა? აბა შედი და მორიგ ფერშალს ჰკითხე.

ბარბარე შევიდა წინა ოთახში და ჰკითხა ფერშალსა:

— შია აქ არის, ბატონო? „აზიატი“, ახალი ჯარის-კაცი...

— შია? მგონია, უნდა იყვეს... რა სტკივა?

— ჰლექიანია, ბატონო... სისხლს აღებინებდა...

— ჰო, არის, აქაა. კვდება, დედილო, მალე მოკვდება... სჯობია არ შეხვიდე...

ბარბარეს გული მოუკვდა, ძალიან შეეცოდა.

— მაშ იქნება შორიდან მაინც მანახოთ?.. პირჯვარს მაინც გადავწერ და...—სთხოვდა ბარბარე.

— აბა შედი,—სთქვა ფერშალმა და ბარბარე შეიყვანა.

დაბალ გრძელ ოთახში ათამდე საწოლი იდგა, სადაც ავადმყოფი მოსკალები იწვნენ. ფერშალი მოვიდა უკანასკნელთან, რომელიც კუთხეში ფეჩთან იწვა. ბარბარემ დაჰხედა ავდმყოფსა და ძლივს იცნო: თუმცა უწინაცა გამხდარი იყო, მაგრამ ეხლა გამხმარიყო,—ცარიელ ჩონჩხს დაჰმსგავსებოდა, კანი მიწისავით გაჰშავებიყო, თვალები ღრმად ჩასცვივნოდა და ღამის ვარსკვლავივით ანათებდა.

შიომ კი ბარბარე იცნო. თვალები გაუბრწყინდა და უხმოდ ჩურჩულით დაუძახა:

— დედა...

— საბრალო, შია, უპატრონოდ ხარა შე საწყალო!..

წაიჩურჩულა ბარბარემ თავისთვის, თვალზე ცრემლი მოადგა და ვერ შეიმაგრა.

— დედა!..—დაუძახა ავადმყოფმა და თავისი ცეცხლივით ცხელი, გამხმარი ხელით ბარბარეს ხელი გამოართვა.

— შეიძლება, ბატონო, ერთი-ორი ვაშლი შეჭამოს?—შეეკითხა ფერშალს ბარბარე, თან ვაშლი ამოიღო.

ფერშალმა ხელი ჩააქნია.

— ვაშლი კი არა, დედილო, რაც აქ მოიყვანეს მას შემდეგ წყლის მეტს არაფერს ღებულობს.

შიომ თვალით მადლობა გადაუხადა და თავი გააქნია, არ შემიძლიანო. ბარბარემ ვაშლი შეინახა და ცრემლები მოიწმინდა; წყნარად იდგა და შეჰყურებდა ავადმყოფის საცოდავ სახეს.

— ამაღამ გათავდება,—სთქვა ფერშალმა. ძალიან აღებინა სისხლი.

ბარბარემ წყანრად სამჯერ გადასწერა პირჯვარი ავადმყოფსა.

— მშვიდობით, შია!..

— ხარაშო, დედა!..—წაიჩურჩულა ავადმყოფმა.

მირ. ხარხელი.

ქ. კიევი. 1916 წ. გიორგობისთვის 8

ეროვნული ბიბლიოთეკა
336

ალვის ხის ფოთოლი...

ალვის ხის ფოთოლი, ფოთოლი ფერმკრთალი,
მოსწყდა და მიწისკენ დაეშვა შემკრთალი,
მოსწყვიტა გრიგალმა, მოსწყვიტა წყეულმა,
და რა ჰქნას ფოთოლმა, ობოლმა, ეულმა?!.

* * *

აქ მოდი ჩემთანა, აქ მოდი ფოთოლო,
ჩემსავით მომწყდარო, შენც ჩემებრ ობოლო;
მეც შენებრ ჩამოვწყდი მშობლიურ მხარესა
და დღეს კი ვერ ვხედავ მის ვარსკვლავ-მთვარესა.

* * *

მაგრამ ხომ შენ ბედით მჯობიხარ მაინცა,
რომ თავზე დაგცქერის სამშობლოს ლურჯი ცა...
მით ხარ ბედნიერი, სად იშვი—იქ კვდები,
და მშობლიურ ცრემლებს მაინც ეღირსები...

* * *

მშვიდობით, მშვიდობით ყვითელო ფოთოლო,
შენ ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის სიმბოლო.

ღრუბელი.

შტაბს-კაპიტანი, გიორგის კავალერი ალექსანდრე რაჟდენის-ძე გიგაური.

დასავლეთის ფრონტზე ომში ტრაღიკულად დაღუპვიდან წლის თავის შესრულების გამო.

ერთი იმთგანი

†მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი.

ს. ქვიშხეთში ქრისტეშობის 10 გარდაიცვალა მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი, ღვიძლი ძმის წული დიმიტრი ყიფიანისა, ერთი იმთგანი, რომელთაც 70-80 წლებში რუსეთსა და ჩვენში ხალხოსნობა (ნაროდნიკობა) შეჰქმნეს.

პეტროგრადის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლის დამთავრების შემდეგ გორს გამწესდა მასწავლებლად და საუკეთესო ეროვნულ მასწავლებლადაც ითვლებოდა.

80-იან წლებში მონაწალეობდა ჩვენს სათეატრო საქმეებში როგორც მოყვარული მსახიობი, რეჟისორი და გამგეობის წევრი.

ხალხოსანთა მოძრაობაში მონაწილეობის გამო იჯდა ციხეში, სამჯერ ციმბირშიაც იყო გადასახლებული და სამიოდე თვის წინად კიდევ დააპატიმრეს დასმენით.. სიკვდილის კარამდე ჰზვერავდენ.

მასწავლებლობის შემდეგ მსახურობდა რკინის გზაზე რევიზორად, დიდი მუყაითობა გამოიჩინა და ბევრი ბოროტ მოქმედებაც აღმოაჩინა, მაგრამ მოძრაობის ხანში მიტინგებზე მონაწილეობის გამო ეს ადგილიც დაჰკარგა. ერთხანად საქალაქო ლომბარდშიაც მსახურებდა.

70 წ. იქნებოდა მიღწეული.

იკვლევდა ქართულ ენის ბუნებას და რავდენიმე წერილიც დასწერა.

საზოგადოებრივ ასპარეზზე თუ კერძო ცხოვრებაში ბევრი გასაჭირი გამოირა და მიუხედავად ამისა, მუდამ საზოგადო საქმეს აღფრთოვანებდა. მის ცხოვრება მოღვაწეობას დაწვრილებით შემდეგ გაგაცნობთ, ახლა კი ვუსურვოთ მშვიდათ განსვენება მას, რომლის ფიქრი საზოგადოებრივ საქმეებს შესტრფიალებდა...

იოსებ არიმათელი.

მგოსანი

მე სინათლის შიკრიკი ვარ,—
ნათელ სხივად მოვლენილი;
ხალხის წყლულის მოზიარე,
ხალხისათვის გაჩენილი...
მე მზემ შობა, მზემ დამბადა,
ძლევის სკრიპტრა მომცა ხელში;
და დღეს დავალ, რომ სინათლე
მიმოვფინო ბნელ სოფელში!..

კ. ძიძაძე

მოსე მწერალი

პიესა 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან

ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული გრ. საქარიქედელის მიერ

მოქმედება პირველი

I.

(სცენა: სუფთად მილაგებული ოთახი. მაგიდასაფ რით, მაგიდასთან სამი სკამი, ერთი ტახტი).

ბაბალე

ბაბ. ღმერთო, ღმერთო! როგორმე და-მირჩინე ჩემი ოქრუა; ღმერთო, ნუ მამასწრობ მის გლახა საქმეს. ის რომ სალდათათ დავი-გულო, მე ალარ მოვრჩები ჯავრით, მეც იქ უნდა წავყვე.(ფიქრის შემდეგ)რა ვიცი, იმედი კი მაქვს, ძალიან მოხერხებული და ნასწავლი კი არის ჩვენი მწერალი, ყველას საქმეს უკეთებს, ხალხი მაინც კი უჩივის, მაგრამ ხალხის სა-ჩივარი იმას ფეხებზედაც არ ჰკიდია. ერთი კი გლახა საქმე ჩაუდენია: მასიკელას ბიჭისთვის რალაც ქაღალდში ოცი მანეთი გამოუტყუე-ლებია და მერე ისევ ის გაუმტყუნებია. პრი-სტავს ნაობახტში ჩაუგდია. პრისტავს თურმე ისე უყვარს, რომ თვალში ჩაუარდეს თითს არ ამეისავამს. მისი ცოლიც ყველას უყვარს თურმე, ყველას ეგუება სულ პრისტავთან და „ვოენი სლედოვატელთან“ დაიარება თურმე. არა, არა! ჩვენი მწერლის იმედი ძალიანა მაქვს.

II

იგივე და მატათი.

მატ. სალამო მშვიდობისა, ბაბალე!

ბაბ. იცოცხლე მატათი, გენაცვალე და-ბრძანდი.

მატ. სხვა, რა ჰქენი ბაბალე. ოქრუას საქმის?

ბაბ. რა ვიცი, შენი ქირიმე, ჩვენი მწე-რალი დაგვპირდა საქმის გაკეთებას.

მატ. აბა ნულარ გეშინია ბაბალე, შენი ჭირიმე; იმან თუ საქმეს მოჰკიდა ხელი, გა-აკეთებს. იმის გაკეთებული არძა ხელმწიფეს მიერთმევა. სწავლას მოხერხება უნდა; რამ-დენია იგი რალაც უნივერსია, თუ სემილარია იქიდგან გამოსული, მაგრამ ჩვენი მოსე მწერ-ლის მეათედი საქმეც არ შეუძლია. ჩვენი დიაკვნის შვილს „სემილარია“ გაუთავებია, მაგრამ საპრისტავო თხოვნაც ვერ დამიწერა.

არა, ბაბალე, ღვთის მადლით საქმე გაკეთ-დება, ოქრუა დაგრჩება. ამ შემოდგომაზე ერ-თი ციცაც ამოურჩიოთ და ქორწილშიც ვი-ქეიფოთ.

ბაბ. რა ვიცი, ჩემო მატათი, ნეტა[i] ღმერთი არ მამიძულებდეს და..

მატ. (აწყვეტინებს) არა ბაბალე, არა, იმედი გქონდეს, მოსე მწერალს ბევრი სა-სალდათო გადაურჩენია, მართალია ფულსაც ბევრს იღებს, მაგრამ რა ჰქნას: იმასაც გასამ-რჯელო უნდა, ცოლ-შვილიანი კაცია. შე[ნ] რამდენს გახდევინებს?

ბაბ. ხუთი თუმანი უნდა მივცე. ხელში ერთი კაპეიკი არ დამესწრო- ღღეს სოფონა[ს] ხარები გავატანე გასასყიდათ, გუშინაც ჰყავ[და], მაგრამ ვერ გაეყიდნა. როცა გიჭირ[ს] კაცს ძნელდება საქმე. უწინ ხარებში ათ თუ[მანს] მაძლევდნენ, ეხლა ხუთ თუმნადაც არა-ვინ ყიდულობს. იციან რომ მიჭირს. (დაღო-ნებული) თუმცა იმ ხარების ' გაყიდვა ძალია[ნ] მეძნელებოდა. ისინი იყვნენ ჩვენი მარჩენალი მაგრამ რა ვქნა, მიჭირს...

მატ. რაფე ჩივი ვოჟო, ოქრუა ხარები[ს] ფასს სამ თვეს აიღებს, მერე ახლა კიდევ ზ[ა]-ვოდში მუშაობა იწყება ბათუმში.

ბაბ. ნეტა გადარჩებოდეს. არ დავეძე[ბ]

მატ. მშვიდობით, მშვიდობით ბაბალე!

ბაბ. მოიცა ვოჟო, რა გეჩქარება?

მატ. გმადლობ, მეჩქარება. სადილი უნ[და] გაუგზავნო დროზე ყანაში მელენტის, თო-რემ ხომ იცი რავარი კუჭიანია (მიდის).

ბაბ. (თან ალაგებს მაგიდას) რათ დეიგვ[ი]-ანა სოფონამ? ვაი თუ ვერ გაყიდოს ხარებ[ი] თუ ფული ვერ ვიშოვნე, დეიღუპება ჩემი ს[ა]-ქმე. (ცოტა ხნის შემდეგ) აღარც ოქრუა და-რუნდა მღვდლისგან. (დაფიქრდება) არა. მ[ა]-ათანასე არ მეტყვის უარს, ძალიან გულ[კე]-თილია, ღმერთმა გაუძლიეროს ცოლ-შვილ[ი] (მიდაგება ფანჯარასთან, უძახის), თიბრო, თიბრ[ო]

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თებროს ხმა: გიახლები, დედა, გიახლები!

ბაბ. სადა ხარ შე ქალო, რომ წახვალ და შენი მოსვლა აღარ იქნება ხოლმე; ხომ იცი ამელამ მწერალი მოვა, მღვდელი, ჩვენი მამასახლისი; იმათ ხომ იცი ვახშამი უნდა, პატივისცემა.

თებ. სად ვიქმნებოდი, ბეჩა, ბაღნებს ბატები გავარეკეე.

ბაბ. სოფონამრათ დაივიანა არ გიკვირს.

თებ. რა ვიცი, გვიან მოვიდეს არ დავეძებ, ნეტავ ხარებს გაყიდდეს.

(ამ დროს შემოაწარდება ოქრუა თავ-სისხლიანი, ბაბადე და თებრო ორივე მიეწარდება)

III

იგინიგე და **ოქრუა**.

ბაბ. რა იყო შვილო, ნენა ვინ მომიკლა, ვინ დამისახიჩრა შენი თავი შვილო ოქრუა!

ოქრუა არა მიპისრა, ნენა, ცოტათი მაქვს ქაა მოხვედრილი.

ბაბ. (ჰრ ტირება) ვინ შვილო, ვინ?

ოქრ. არ იცი ვინ არის ჩვენი მტერი?

ბაბ. ვინ შვილო, ვინ მტვრათ იქცა, შვილო, ყველა თქვენი მტერი და დამაწყევარი.

ოქრ. მღვდლიდან რომ დავბრუნდი, დევინახე რომ ბაგრატ ქურაძეს ჩვენი ღობე გეერდვია და ურემი მოყავდა ჩვენ ყანაზე, ველარ მევითმინე, მინდოდა ურემი და ხარები წამერთმია, მაგრამ ვერ წავართვი, შვილიც თან ახლდა ნიკუაი, დამიშინეს ქვები, ძლივს გამოვასწარი.

ბაბ. ვაი, ის არ მოასწრო შვილო წმინდა ვასილის მადლმა კალანდასა! რა უნდა ჩვენგან, რას ჩაგვაცივდა. ის ორლობე „სუდში“ ჩვენ მოვიგეთ, კიდევ გვართმევს; მაცადოს ამალამ მაგარ ქალალდს დავაწერინებ მოსეს, სუდში უჩივლებ კიდევ, (ბაბადე თან და თან დამშვიდდება. ოქრუას თავს შეუხვევენ)

ბაბ. (ოქრუას) მღვდელმა რა გითხრა შვილო, მოვალო?

ოქრ. მოვალო, მე რაც შემიძლია ყველაფერში დაგეხმარებიო.

ბაბ. ღმერთმა მიცოცხლოს მისი თავი.

ოქრ: სოფონა არ მოსულა კიდევ?

ბაბ. არ მოსულა შვილო!

ოქრ- გევიგე დღეს „პარასკევობაზე“ ძალიან იაფი ყოფილა ხარები.

ბაბ. არ დეეძებ შგილო, ოღონდ შენ დაგარჩინო.

ოქრ. მე რომ წავსულიყავი ის მერჩია, უხარო გლეხი კაცი რა მოხელეა.

ბაბ. არაფერია შვილო, ხარებს კიდევ ვიყიდით.

ოქრ. ყიდვა ადვილი ბგონია შენ.

IV

იგინიგე და **სოფონა**.

ბაბ. რა ქენი შვილო, გაყიდე ხარები?

სოფ. (მოწყენით) გავყიდე, ხუთი თუმანი მეტი ვერ ავიღე.

ბაბ. რატომ ხარ ასე მოწყენილი შვილო?

სოფ. მოწყენილი! რა გაქვს გასახარებელი. მარჩენალი ხარები ტყვილა დავკარგე.

ბაბ. რა გაეწყობა, შვილო, როგორც გიპირდეს—ისე გიღირდესო. თქვენ მყავდეთ, შვილო, კარგად და ამისთანა ხარებს კიდევ გიყიდით.

სოფ. (გაიგდ-გამოიგდის, დინანახავს თავ-კუტაბად ოქრუას). შენ რა დაგემართა, ბიკო

ბაბ. (ჰრ ტაბდის ოქრუას) მისთანა ჭირი დაემართა ბაგრატს, რომ ამოუწყვიტა სულ ცოლ-შვილი.

სოფ. (ოქრუას) ბიკო, ხომ გაიგე მისი ამბავი, რატომ არ მეერიდები.

ოქრ. მეერიდე, მეერიდე და არღვევიე ღობეები, სულ დაგვიბრიყვა, ზურგზე შეგვაჯდა.

სოფ. შენ მე მაცალე, მე ვარ უფროსი, მე გაუსწორდები მას. (სკერთან სიტუაციაში).

სოფ. მიალაგ-მოალაგეთ, მალე მწერალი მოვა. სერიდან დავინახე, ცხენები მოდიოდა, (კარებიდან იხედება) მოსულა კიდევაც, (ოქრუას) ადე, ბიკო, გაუდე ჭიშკარი, ცხენი ჩამოართვი (ოქრუა გადის)

გრ. საქარიქიდეი

(გაგრძელება იქნება)

კრიტიკული მოგზაურობები

VII

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზია.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩვენს კრიტიკოსებს დიდ შეზარხოს მიაჩნიათ და უკვირთ, რომ შთა შიმაჯადობს იგი თითქმის დავიწყებული ეკვს.

მე არ უკვირდა, რომ ალ. ჭავჭავაძე დიახ ბუნებრივი მეზარხანა, მისი დექსები სახოგადოდ გრძნობიერება და ზოგიერთი კინსაკუთრებულ ეურადღებასაც იქცევს; მაგრამ, მიუნდაგავ ამისა, თუ მისი დექსები მეთხვეედთა ფართო წრეს ვერ მისწედა, ამ კარეშოვნას ოთავისი საბალტია შიზეზები აქვს.

მე ეკვი ნათქვამი მაქვს, თუ რა მოეთხოვების პოეტურ ნაწარმოებს, და ჩემის აზრით ეი რადგრა ნაკლი აქვს ალ. ჭავჭავაძის დექსებს, იმისთანა ნაკლი, რომელიც ჩვეულებრივ მეთხვეედებში მაო კარეტდებას ხელს უშლის.

უპირველესად ეოდისა ალ ჭავჭავაძის დექსები უმეტესად მძიმე ენაო არის დაწერილი, მრავალი კუბეებრი სიტეეა და გამოთქმა ხვდება შიკ საშვალო მეთხვეედს, რაიცა ამრეოდებს ანბის კეკეებს, და, როგორც ნათქვამი მაქვს, როგა მეთხვეედს ანბი არ ესმის, იმისთანა ნაწარმოები მის გრძნობას ვერ მოხიბლავს და მის ფიქრსა და ეონებას ვერ კიტეტებს. რიცა ანბრიც კეუეაო და კარეკანი ფორმაც მოწონებაო, ალ. ჭავჭავაძის ამისთანა დექსი კიდევც კარეტდებულა ხალხში: ეს არის დექსი „ლოთეობა, ნეტავი ჩვენა«. ეს დექსი მაინეც და მაინეც დიდი დარსების არ არის, როგორც პოეტური ნაწარმოება, მაგრამ ჩვეულებრივი ცხოვრების შესაფერი მინაარსისა და კასკეები ფორმის წეადობით კარეტდებულა იგი ხალხში და დღემდი ასიამოვნო დექსად არის მიჩნეული.

ამა რა შესაკარებელია ეს დექსი ან „კეკეასია“-სთან და ან „ეოგჩა«-სთან? „კეკეასია“ და „ეოგჩა“ ნამდვილი პოეტური მსაკერეული ნაწარმოებია; მაგრამ, თუ ეს უკანასკნელი დექსები კრიტიკოსებს კარგა თითქმის არაეის ახსოგს, ამის მიზეზი მათი კარეკანი მძიმე ფორმაა, მძიმე ენა, ხშირად კუბეებრი.

ამა დაუკვირდით, რა მშვენიერი სურათი იხატება, მაკალითად, დექსის „კეკეასიის“ შემდეგო სიტეეებში:

„თხეშის შეეზაგარის ბორტიის ზეეის მიმეურდნობი და ტეარფეთა სადთა კანსიის კინმბობი—
კეკეასი ეოდიათი ეეეს შორის ორთა ზეეათა,
თეის შორისრე შემცეადი დიდ სკეკერეედეებთა.
მა შინა ჭსნრნი ბუნება სიშენედდ და მშეენიდ:
ეეერდნი მისნი ძდიერნი, ოფლეონდი შეუსეენნიდ,
ქუხეიო კარდმოქანნი მრისხანეო მდინარეთა,
„ერწეეენ და კანიზიზეენ შორიედთა ეეედებთა.
იგი ზეერეი, ზმიდეედი მოეზედ შემდკარი მთეებისა,
ათასწედოვანი ოფედთაკენ ზეეაედ შენკარეეოდენმე რომედსამე მთ სპეტკე ტეორთაკენ კარდნაკეედებს ზეაეებდ, ეცემენ ეეერსა და ოეა სრიალი კანშეტრნი, სიხენი კანმეკრთობნი ეენეედ-ოდთა ბორეეეები, ერთმანერთის მანკ

ან „ეოგჩა“-ში:

„მოეჩა, ტბა ეერეედი, ხმოეანებითო
ზეეთა მაჩაძეი,
ოდენმე ზეერთთა ადქაეებითო
ჭდედაეს მრისხანედ:
ზოგეკერ, ეიო ბრდი ეედეეერეედო,
ეეინდა, ეერეი,
თეის შორის ჭნსტაეს ტისა დაეკარდ
და მთათა მეეანეთ.“

ან კიდეკ იქეე:

„მიხედე ამა ეერეედსა ეაკეს,
ქეაერადსა ბნედდ,
ეკდაკ ანბრეზსა, სად ჭქონიათ
ტაეეთა სრბოდა,
ჩოგნის ტაეება ჭაბეკ-მხედართ
ეამოსეედედ,
ეეთა ტრაბდი, ეირითთ ტეორეა
და ისარი სრბოდა“.

ორსეეე ამ დექსში, „კეკეასია“-სა და „ეოგჩა“-ში, მშეენიერი სურათები იშლება მეეთხვეედის თვალწინ, მაგრამ ისეთი ძმიმე ფორმითა არის ეე სურათები გამოხატული, რომ ჩვეულებრივი მეეთხვეედისათვის ისინი თითქმის კუბეებრი რჩებიან.

ეროგორ ორბედინის ენასაც სახოგადოდ ეკდა სიმარტეეე, მაგრამ მისი დექსები შედარებით ბევრაო უფრო ადვილი კასკეებია და განსაკუთრებით პოეტური ადგილები—ბევრათ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეფრო მოიხსენებდაგეთ, ნაზი სტილით არის გამოხატული.

მოიგონეთ გრ ორბელიანის მიერ ითარგმნილ კავკასიის მთების ადწერა, რასაც ად. ჭავჭავაძეც თავის „კავკასია“-ში აგვიწერს:

„სად მთანი ეფინენ გვირგვინით
არიან ცალმხე ასულნი,
და მდინარენი ზახადით
ზვირთნი ზვირთებზედ მსრბოლელნი,
ეფსკერულნი ჩანნელებულნი,
კალღანი ოფლგადუწყვეტელნი,
სად მთანადირე სდევს ჯიხვსა
და მახ ქვეშ ყველნი ფრუბელნი!“

მოიგონეთ კიდეც ფექსის „იარალი“-ს ის ადგილი, რომელიც ითქმა ძალიანს კარგ ზეკეთ მოსწონდა ად. ჭავჭავაძის ფექსის „ეგოლინ“ ეგვებს, მაგრამ ძალიანაც განსხვავდება მთაკენ ... ეს მშვენიერი გამოხატულებით:

„აჰა, სასმა ჭსნანს სანახავი:
ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი,
ჯირითთ სრიალი, ეფრთამჯო ბრიალი,
ეფხანეთა ცეკა, ცხენთაკენ ხტომა,
კეკლად ზეხტომა და ხმალთ კრიალი!..“

ალიხ, სიმარტივე და გრძნობიერობა: აი რა ასულდგმულებს ამშვენიერებს ბოეტურ ნაწარმოებს!

სილოვანი.

(ამ წერილის დასასრული შემდეგ ნომერში იქნება)

ობოლიოლი

(სიმღერა ხალხურ კილოზე)

ობოლი ვარ, დაჩაგრული, პატარა,
ეშმეწერ. დავდივარ კარის კარა.
არვინა მყავს ტკბილად ნუგეშმცემელი,—
ყველა გახდა ჩემი მტერი, მცემელი;
დედინაცვალს ვეჯავრები ბერიეთ,—
ის კი ეფდა, ვემსახურო მზრიეთ.
საპალნეს რო ავიკიდებ ვირიეთ,
ვაპმე, ვკნესი, დამდნარი ვარ ჩხირიეთ..
ასეთია ობოლის ბედის წერაო,—
გულქვა ხალხი ვერვინ დაეჯერაო!..

იაგო ტეტუნაშვილი

სახალხო თეატრის ისტორია

(იხ. „ეს. და ც.“ № 50).

სექტიანმ „ნაძალადევისა“ თეატრის დაარსებლებერების შემდეგ სასწრაფოთ სცენა მისი ახლად შეკეთება. ამ მიზნისათვის სოხოვა რუსულ კეთხვთა კომისიას სესხად 50 მან ამასთანავე სოხოვა ქართულ დრამატიულ საზოგადოებასაც, რომელიც 50 მანეთით დეხმარა. ამის გარდა სოხოვა ხის მასალა შეეწოთ მექარხნე ივანე სერებრიაკოვს, რომელმაც გამოეგზავნა. შეკეთეს თეატრი, რომელიც სექტიას დაუჯდა 82 მ-და 70 კაპ. ბილეთების ფასი იყო ორ რიგში 10 კაპ. დანარჩენები 5 კაპ. სულ იტეოდა 500. წარმოდგენები მართობის თვის ნახევრიდან დაიწყო და ადგა ორი წარმოდგენა: „ხანუმა“ ა. ცაგარელისა და „ძუნწი“ გ. ერისთავისა.

თუმცა დიდი სურვილი იყო ნაძალადევშა წარმოდგენების დადგმისა და სახალხო თეატრიც სწორედ ქალაქის განსაბარა უნებებშია საწერო, რო მდის მეხოვრებდებისაც უფრო დარბი სადი შეადგენს, მაგრამ, სასუელურო, წარმოდგენების ადგმა მაგე შესწედა.

აი, მიზეზიც თეატრი გაკეთებული იყო ქალაქის ადგილში, რომელის მოთავსებულ ყოფილ ფურცელაძე. რადგანაც ის ჯერჯერობით არა ხმარობდა ამ ადგილს, მისთვის დაუთმო ზემოთ მოხსენებულ ამხანაგობას წარმოდგენების გასამართავად. ბოდის ფურცელაძემეც მოითხოვა თავისი ადგილი უკან და სამე სასამართლოდან წავიდა. სასამართლოს დადგენილებით, ადგილი ისევე ფურცელაძეს უნდა ჩაბარებოდა და სახალხოს ფურცელაძეს კალაკტანა. ამის შემდეგ გადაწყვეტა ფანტარაი ადგილის დათმობაზე ფურცელაძე სექტიის თხოვნის დათანხმდა ამ პირობით, თუ ქალაქი მას სხვა ადგილს დაუთმობდა. სექტიანმ მიმართა კეთხვთა კომისიას, რომ შეუმდგომლობა გაეწია ქალაქისთან ამის შესახებ. გაიარა დრომ— თეატრი ნელ-ნელა დაინგრა და ამით შესწედა „ნაძალადევის“ წარმოდგენები.

გ. ჯაბაური.



სახალხო სახლში, ორშაბათს 12|XII დრამატიულ სახ. დასის მიერ წარმოდგენილი ბერშტეინის „ეროის სისხლი“ ღონიერი დრამა გამოდგა. აქ ზომიერის ხასმოსმით არის დასურათებული ახალგაზრდა ფრანგ ქრისტიანთა ზიზღი ებრაელებისადმი. ჰერცოგის შვილი ტიბო (ზარდალიშვილი) შეუფაცყოფილად სთვლის თავს, რომ პარიზის საკრებულოს წევრთა გვარეობთან ებრაელ გუტლიბის (იშხნელი)გვარია მოთავსებული და სთხოვს მას, საკრებულოს წევრობას თავი დაანებეთ. გუტლიბისაგან ამის გამო უარს მიიღებს, რისთვისაც ტიბო მას დუელში იწვევს, გუტლიბი არც ამას სთანხდება. ტიბო ამის შემდეგ საკრებულოში მას შეუფაცყოფას მიაყენებს და ამით დუელში გამოსვლას იძულებულსა ჰყოფს. მოდის დუელის დრო და სწორედ აქედან იწყება დრამის ნასკვი. საქმე ის არის, რომ ტიბოს დედა აგნესა (დავითაშვილი) ამ ამბავს გაიგებს და ვერ შეურიგდება იმ აზრს, თუ საკვდილით როგორ მოიშოროს ან საყვარელი შვილი, ან გუტლიბი, რომლისგანაც მას ტიბო შესძენია. და დაიწყებს გამოძებნას საშველებისას. სწორედ ამ ძიების დროს ტიბო გაიგებს, რომ მის არსებას ებრაელის სისხლი ურევია და ეს ამბავი გაწწირულების სამოსელში აბვევს. თვით ეს ამბავი კი დედის სიყვარულით, მამობრივი გრძნობითა და ადამიანური ღირსებით იმოსება, და ზიზღ-ენიანობის უკუდგება თავდება იმითი, რომ ტიბო ჯარითა ჰკვდება... ვერ ვიტყვით, რომ ამ ფაბულის განვითარებას დიდის ყურადღებით გვასმენინებდეს, მაგრამ ესაფია ის რომ დრამა მეტ შემთხვევაში წარმატება.

შესრულების მხრივ უნდა ითქვას, რომ ზარდალიშვილი ჩინებული იყო, განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში, სადაც იგვეს, რომ ებრაელის შვილია. კარგი იყო აგრეთვე დედობრივი გრძნობით გამსჭვალული დავითაშვილი. ებრაელ გუტლიბის როლი მეტად ძნიმეა ბ-ნ ზმზნელმა დაკვირვებულად შესასრულა (როლის უცოდინარობა კი ხელს უშლიდა). მისი სახიობა ბევრს ვერ მოხიბლავდა, რადგან ჭეკა-ჭეზილით შესრულებულ როლებს უფრო ვიფასებთ... საერთოთ მსახიობთ როლები სუსტად იცოდნენ, რის გამოც ხშირად სიტყვებს ამახინჯებდნენ...

დასასრულ წარმოადგენილ ვოდ. „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“, რომელშიაც ტასო აბაშიძემ ვ. ბარველმა მოხდენილი აღსრულებით ბევრი აცინეს დამსწრე საზოგადოება. მიშ

◆ **ოპერა „ხევსელელი დალაქი“**, ახალ კლუბის სცენაზე ქრისტეშ. 13 წარმოდგენილი, ბრელი გამოდგა: მღეროდენ ქართულად, რუსულად და იტალიურად. გარდა ამისა წარმოდგენას უცვ დ ადგა ეტყობოდა. ეს კი მეტად სამწუხაროა, რადგანაც ოპერაში დიდაც ღირსეული და ნიჭიერი პირნი მონაწილეობდენ: ქ-ნი კალანდაძე-აგასიოვისა, ცქვიტი, და მალხაზი აღმასრულებელი როზინასი, ბ-ნი ბროჯი—ეს ერთი საუკეთესო ფიგარო, რომლის სახიობას მართლაც ალტაცებაში მოჰყავდა დამსწრენი, ბ-ნი აკასოვი (დონ ბაზილიო) და ბართოლო (არლუთაშვილი) მოხდენილი, დახელოვნებული მსახიობნი არიან, ლოტბარი ნ. გ. ქართველიშვილი, მუსიკის მცოდნე, ბეჯითი და ორკესტრის გამოცდილი ხელმძღვანელი, რომელიც სახოგადოებამ ტაშით დაჯილდოვა. თითქმის ყველას, ბ-ნ ბროჯის გარდა, ჭრიმეში რიგიანი ვერ ჰქონდათ. სცენის სინათლეც პირველყოფილ ყაიდით იცვლებოდა ერთბაშად, მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართველად ამ ოპერის ღადგმა სახიამოვნო მოვლენაა და სრულ წარმატებას ვუსურვებ. ერთხელაც არის ჩვენც უნდა ვეზიაროთ თუ არა ევროპიულ კლასიკურ მუსიკას! ხოლო ეს-კი ჩვენი ეროვნული ოპერის წარმოშობა-აღორძინებას დაარჩენს. უსავანო

წვრილი ამგვები

◆ **ქართ დრამ. დასი** ხვალ. ორშაბათს ქრისტეშ. 19, სახალხო სახლში წარმოადგენს ჰაუპტმანის ზდ.-დრამას „დამირეულ ბარს“.

◆ **დრამატიულ ბაზოგადოების** საზოგადო კრება (წინა კრების გაგრძელება) დღეს დაიწყება ახალ კლუბში, შუადღის 1 ს. საგნები: 1 გამგეობისწელიწარი ანგარიში და მოხსენება; 2, პენსიონერთა საკითხი; 3, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

◆ **ახალ კლუბში** გასულ კვირას ქართ. დრამ. დასმა წარმოადგინა „ედმონდ კინი“. წარმოდგენას უმეტესად მოსწავლე-მოზარდნი დაესწრენ ისიც ძლიერ ნაკლებ. კვირა-უკმე დღეობით დასმა მაინც ისეთი პიესები უნდა დადგას, რომ ჩვენი მოსწავლენი მიიზიდოს, დაკვალაყოფილოს და აღზარდოს. გასულ ხუთშაბათს წარმოდგენილ იქნნა „ჯერ დაიბოიკენ—მერე იკოროწილეს“.

◆ **ხარფუნის კლუბში** ყოველ ოთხშაბათობით იმართება ქართული წარმოდ ენები.

◆ **არტაანის ქართ. საძმ.—მოძმ. საზ-ის** განყოფილება ამ თვის 18 დ. არტა ნში მართავს საღამოს ქართველ მაჰმადიანთა შორის სკოლის დასაარსებელ თანხის გასაძლიერებლად. საღამოსათვის ყოველნაირ სურსათისა და საგანგებო ნივთების შესაძენად თბილისში იყო გამგეობის წევრი ბ-ნი კ. ოდიშარია. საღამო ფაბოთოდ იქნება მოწყობილი. როგორც გადმოგვცეს, არტაანში ეს პირველია და ამის შემდეგ ყოველწლიურად გაიმართება. საღამოს შინაარსი: 1 რეფერატი თამარ-მეფის დროის საქართველოს ცხოვრებიდან,—ზაიკი. ტ. დ. კეზელი, 2, ერთმოძმეებისა ნი ვოდევილი. 3, ცოცხალი სურათი „თამარ მეფე და შოთა რუსთაველი“, 4, ცეკვა, სიმღერები (ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებიდან) და სხ.

სახალხო სახლში, ორშაბათს 12|XII დრამატიულ სახ. დასის მიერ წარმოდგენილი ბერშტეინის „ურიის სისხლი“ დრამიერი დრამა გამოდგა. აქ ზომიერის ხასმოსმით არის დასურათებული ახალგაზრდა ფრანგ ქრისტიანთა ზიზღი ებრაელებისადმი. ჰერცოგის შვილი ტიბო (ზარდალიშვილი) შეურაცყოფილად თვლის თავს, რომ პარიზის საკრებულოს წევრთა გვარეშათან ებრაელ გუტლიბის (იშხნელი)გვარია მოთავსებული და სთხოვს მას, საკრებულს წევრობას თავი დაანებეთ. გუტლიბისაგან ამის გამო ურს მიიღებს, რისთვისაც ტიბო მას დუელში იწვევს, გუტლიბი არც ამას სთანხდება. ტიბო ამის შემდეგ საკრებულოში მას შეურაცყოფას მიაყენებს და ამით დუელში გამოსვლას იძულებულსა ჰყოფს. მოდის დუელის დრო და სწორედ აქედან იწყება დრამის ნასკვი. საქმე ის არის, რომ ტიბოს დედა აგნესი (ღვითაშვილი) ამ ამბავს გაიგებს და ვერ შეურიგდება იმ აზრს, თუ საკვდილით როგორ მოიშოროს ან საყვარელი შვილი, ან გუტლიბი, რომლისგანაც მას ტიბო შესძენია. და დაიწყებს გამოძებნას საშუალებისას. სწორედ ამ ძიების დროს ტიბო გაიგებს, რომ მის არსებას ებრაელის სისხლი ურევია და ეს ამბავი განწირულების საშოსელში აბევებს. თვით ეს ამბავი კი დედის საყვარულით, მამობრივი გრძნობითა და ადამიანური ღირსებით იმოსება, და ზიზღ-ვინიანობის უკუდგება თავდება იმითი, რომ ტიბო ჯავრითა ჰკვდება... ვერ ვიტყვით, რომ ამ ფაბულის განვითარებას დიდის ყურადღებით გვასმენინებდეს, მაგრამ ცხადია ის რომ დრამა მეტ შემთხვევაში წარმატება.

შესრულების მხრივ უნდა ითქვას, რომ ზარდალიშვილი ჩინებული იყო, განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში, სადაც იგება, რომ ებრაელის შვილია. ქარგი იყო აგრედვე დედობრივი გრძნობით გამსჭვალული დავითაშვილი. ებრაელ გუტლიბის როლი მეტად მძიმეა და იშხნელმა დაკვირვებულად შეასრულა (როლის უცოდინარობა კი ხელს უშლიდა). მისი სახითობა ბევრს ვერ მოხიბლავდა, რადგან ჰეკა-ქუხილით შესრულებულ როლებს უფრო ეფასებენ... საერთოთ მსახიობთ როლები სუსტად იცოდნენ, რის გამიც ხშირად სიტყვებს ამახინჯებდნენ...

დასასრულ წარმოდგენილ ვ. „ჩათრევვის ჩაყოლა სჯობია“, რომელშიაც ტასო ბაბაძიმ ვ. ბარველმა მოხდენილი აღსრულებით ბევრი აკინეს დამსწრე საზოგადოება. მიშო

◆ **ოპერა „სევილიელი დალაქი“**, ახალ კლუბის სცენაზე ქრისტეშ. 13 წარმოდგენილი, ჭრელი გამოდგა: მღეროდენ ქართულად, რუსულად და იტალიურად. გარდა ამისა წარმოდგენას უცვებ დადგმა ეტყობოდა. ეს კი მეტად სამწუხაროა, რადგანაც ოპერაში დიდაც ღირსეული და ნიჭიერი პირნი მონაწილეობდენ: ქ-ნი კალანდაძე-აგასოვისა, ცქვიტი, და მალხაზი აღმასრულებელი როზინასი, ბ-ნი ბროჯი—ეს ერთი საუკეთესო ფიგარო, რომლის სახიობას მართლაც ალტაცებაში მოჰყავდა დამსწრენი, ბ-ნი აგასოვი (დონ ბაზილიო) და ბართოლო (არდუთაშვილი) მოხდენილი, დახელოვნებენი მსახიობნი არიან, ლოტბარი ნ. გ. ქართველიშვილი, მუსიკის მცოდნე, ბეჯითი და ორკესტრის გამოცდილი ხელმძღვანელი, რომელიც სახოგადოებამ ტაშით დაჯილდოვა. თითქმის ყველას, ბ-ნ ბროჯის გარდა, ქრიმები რიგიანი ვერ ჰქონდათ. სცენის სინათლეკ პირველყოფილ ყაიდით იცვლებოდა ერთბაშად, მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართულად ამ ოპერის ოდგმა სახიმოვნო მოვლენაა და სრულ წარმატებას ვუსურვებთ. ერთხელკა არის ჩვენც უნდა ვეზიაროთ თუ არა ევროპიულ კლასიკურ მუსიკას! ხოლო ეს-კი ჩვენი ეროვნული ოპერის წარმოშობა-აღორძინებას დაეჩქარებს. უსავანო

წვრილი ამგები

◆ **ქართ დრამ. დასი** ხვალ. ორშაბათს ქრისტეშ. 19, სახალხო სახლში წარმოადგენს ჰაუპტმანის ხელ.-დრამას „დაძირულ ზარს“.

◆ **დრამატიულ საზოგადოების** საზოგადოკრება (წინა კრების გაგრძელება) დღეს დაიწყება ახალ კლუბში, შუადღის 1 ს. საგნები: 1 გამგეობის წლიური ანგარიში და მოხსენება; 2, პენსიონერთა საკითხი; 3, გამგეობისა და სარევიზორო კომისიის წევრთა არჩევა.

◆ **ახალ კლუბში** გასულ კვირას ქართ. დრამ. დასმა წარმოადგინა „ედმონდ კინი“. წარმოდგენას უმეტესად მოსწავლე-მოზარდნი დაესწრენ ისიც ძლიერ ნაკლებ. კვირა-უქმე დღეობით დასმა მაინც ისეთი პიესებში უნდა დადგას, რომ ჩვენი მოსწავლენი მიიზიდოს, დაკაბაყოფილოს და აღზარდოს. გასულ ხუთშაბათს წარმოდგენილ იქმნა „ჯერ დაიბოცენენ—მერე იქორწილეს“.

◆ **ხარშუნის კლუბში** ყოველ ოთხშაბათობით იმართება ქართული წარმოდ ენები.

◆ **არტაანის ქართ. საძმ.—მოძმ. საზ-ის** განყოფილება ამ თვის 18 დ. არტა ნში მართავს საღამოს ქართველ მაჰმადიანთა შორის სკოლის დასაარსებელ თანხის გასაძლიერებლად. საღამოსათვის ყოველნაირ სურსათისა და საგანგებო ნივთების შესაძენად თბილისში იყო გამგეობის წევრი ბ-ნი კ. ოდიშარია. საღამო ფა~თოდ იქნება მოწყობილი. როგორც გადმოგვცეს, არტაანში ეს პირველია და ამის შემდეგ ყოველწლიურად გაიმართება: საღამოს შინაარსი: 1 რეფერატი თამარ-მეფის დროის საქართველოს ცხოვრებიდან,—ზაიკოთ. ტ. დ. კეზელი, 2, ერთმოქმედებიანი ვოდევილი. 3, ცოცხალი სურათი „თამარ მეფე და შოთა რუსთაველი“, 4, ცეკვა, სიმღერები (ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებიდან) და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

თეატრს ᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

(დაწვრილებით იხ. შემდეგი გვ.)

თანამედროვე აზრი

კაზეთი დიის რაოდენობა თბილისში, ისე პრაკინტიაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან, სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის კაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Богохадзе. თბილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განთლებაში“, ოლღას ქუჩა, № 6.

„სახალხო ფურცელი“

სურათებიან დამატებით ღიის წელიწადში 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. სამი თვით 5 მან.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად:

ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 აპრილისათვის 4 მ. და 1 აგვისტოსთვის 4 მან. კანტორა ხელის მოწერისათვის ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, სალამოს 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქციის მისამართი: ტფილისი, „სახალხო ფურცლის“ რედაქცია, სასახლის ქუჩა № 6 Тифлисъ, редакція „Сахалхо Пурцели“ поч. ящ. 190

„ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ“

იუმორისტული ჟურნალი. ფასი მთელი წლით: 7 მ 6. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სიღ. თავართქილაძეს.

„ᲡᲐᲤᲘᲠᲝᲜᲘ“

20 ქრისტეშობისთვეს თბილისში გამოვა საბატვრო-სალიტ კრებული. კრებულში მონაწილეობას იღებენ ცნობილი მწერალ-კრიტიკე. რედაქტორი-გამომ. **გ. ლეონიძე** მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7. სანლრო შაშიაშვილს, აგენტებს ვთხოვთ წინდაწინ დაიკვეთონ.

ᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲦᲠᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ, ᲡᲐᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“

ᲣᲫᲕᲔᲚᲘᲡᲒᲠᲔᲚᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲜᲘᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ.

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის, სასოფლო მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში

გაზეთის ფასი: მთელი წლით — 15 მ ნახევრის წლით 9 მ. სამის თვით 5 მ. ერთის თვით ქალაქში 1 მ, 80 კ ქალაქ გარეთ-დან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება. არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის მიერ-ეულ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშეული. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შეტანა ნაწილ-ნაწილად-ც შეიძლება შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., მიერ-ეულ მარტისათვის 5 მან. და მიერ-ეულ აგვისტისათვის 3 მან. ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოთხოვნილ მიერ-ეულ-ს ეგ მოწერის დროს. **რედაქციის მისამართი.:** თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. კანტორა ღიაა: დილი 9 — თვ ს.-მდე საღამ. 5 — 7-მდე. **რედაქტორი: სანლრო შაშიაშვილი.** გამომც. ამხ. **„სამართველო“**

სახალხო სახლი

ორშაბათს ქრისტეშ. 19 1916 ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ. **გ. კამერ-დიმის მონაწილეობით**

წარმოდგენილი იქნება ჭ. ჭაუტმანის

„დაჭრული ზარი“

დრ.—ზეკაპარი 5 მოქ.. თარგ. ი. მაჭავარიანისა.

მონაწილეობენ: ქქ-ნი: ტ. აბაშიძე, ნ. ᲥᲐ, ვითაშვილი, მ. ქილარჯიშვილი, ა. ქიქოძე, ᲐᲐ. შოთაძე, ნ. ᲯᲐᲜᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. მაჭავარიანი, ნ. მკედლიშვილი; ბ-ნნი: ვ. ᲐᲐ გამყრელიძე, ი. ზარდალიშვილი, გ. იმხნელი, გ. ფრონის-პირელი, ი. თარალაშვილი, ნ. ᲩᲐᲒᲣᲜᲐᲕᲐ და სხ.

დასაწყ. საღ. 8 ს. ფასი: 1-70 კ 20 კ-დე.

რეჟისორი *** ადმინისტრ. დრამ. საზ—ბისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

სათეატრო სალიტერატურო სამხატვრო
ყოვლიური ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

ჟურნალი კარგითა გარეშე, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

ჟურნალის ფასი ორივე ბრძოლით წელიწადში დირს 8 მან. ნახევარის წლიო. 4 მან. 50 კან. თითო ნომერი ეღირება 15 კან ფეფლის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., 1-მისამდე—3 მ. 1-ელ ნოემბერამდე 2

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სოროპანის“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძული, № 1, გორონოცოვის მეორე ხიდის ყურეში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Иосифу Имедашвили. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

„განათლება“

ჟურნალ-გაზეთების კანტორა

ქ. თბილისში ოლდას ქუჩა № 6.

გგზავნავს ბეკეტებს: „ოპერი და ცხოვრება“, „ათეს. ზარი“, „ეკ. მეორეხაა, „სიკარგელი“ „Тифлисскій Листокъ“, „Рузское Сово“, „ქორაზანი“, „ეკდალ ეკდალ“ და სხ. და სხ. ქართული წიგნები. ფული ან წერილები უნდა გამოგზავნოს შემდეგი მიმართ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 96, Тавартциладзе.

ახალი კლუბი

1 კვირის პროგ. ქრისტე. 18-25

კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.

ოკრშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

სამშაბათი—საოჯახო სალამო

ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სმენ. ორკ.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კან.

პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე.

შაბ.— რიადნოვის სალაამო

კვირა—რუსულ წარმო. ბილეთ. 5-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა სალამ. 9 საათ.. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ სა შემსას. ფასი მანდილოსნ. 50 კ, მამაკაც. 1 მ.

ხარშუხის საზოგადო კლუბი

(მისელის პროსპექტზე, № 163)

ერთი კვირის პროგრამა ქრისტეშ 18—25.

ოკრშაბათი—სინემატოგ. სმენ. ორკ.

სამშაბათი სინემატოგრაფი: სმენ. ორკეს.

ოთხშაბათი -ქართული წარმ სმ. ორკესტ.

ხუთშაბათი—სინემატოგ. სმენ. ორკესტრი.

პარასკევი—სმენიანი ორკ. წარმოდგენა

შაბათი—სმენიანი ორკესტრი.

კვირა—სმენიანი ორკესტრის კონცერტი. ... ორკ.

ქუთაისში
ბაკურიანი
ბორჯომი
ბაკურიანი
ბორჯომი
ბაკურიანი
ბორჯომი